ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №11/05

მასობრივი იმფორმაციის საშუალებით რეკლამის გავრცელებასთან დაკავშირებით

ქ. თბილისი 8 აპრილი 2013 წელი

ერთის მხრივ, **შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი** (შემდგომში „დამკვეთი“) წარმომადგენილი მისი თავმჯდომარე **გურამ ტომარაძის** სახით სახით და მეორეს მხრივ **შპს „ალია ჰოლდინგი"** (შემდგომში "**შემსრულებელი**") მისი სარეკლამო სამსახურის უფროსის, **გვანცა ზარიძის** სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 **შემსრულებელი** უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან ცხრა თვის განმავლობაში გაზეთ "ალია"-ში და გაზეთ "კვირის ქრონიკა"-ში **დამკვეთის** მიერ მიწოდებული რეკლამის განთავსებას, **დამკვეთი** რეკლამის ღირებულებას (სარეკლამო მომსახურების საფასურს) აანაზღაურებს ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 **შემსრულებელი ვალდებულია:**

2.1.1 ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ დაუთმოს **დამკვეთს** სარეკლამო ფართი.

2.1.2 განათავსოს **დამკვეთის** მიერ მიწოდებული სარეკლამო მასალა, **დამკვეთის** მიერ განსაზღვრული გრაფიკისა და მედია-გეგმის შესაბამისად.

2.1.3 უზრუნველყოს რეკლამის ბეჭდვის სტანდარტული ხარისხი და რეკლამის შესაბამისობა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

2.1.4 რედაქციის მიზეზით გაზეთში განთავსებულ რეკლამაში შეცდომის დაშვების შემთხვევაში, განმეორებით განათავსოს გაზეთის მომდევნო ნომერში იგივე რეკლამა.

2.1.5 **შემსრულებელი** უფლებამოსილია, უარი თქვას **დამკვეთის** მერ მოწოდებული სარეკლამო მასალის განთავსებაზე თუ იგი ეწინააღმდეგება „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობას.

2.2 **დამკვეთი ვალდებულია:**

2.2.1 რეკლამის გაზეთში განსათავსებლად დროულად მიაწოდოს რეკლამა **შემსრულებელს** არაუგვიანეს გაზეთის გამოსვლის წინა დღეს.

2.2.2 **შემსრულებლის** მიერ **დამკვეთისათვის** გამოყოფილი სარეკლამო ფართი არ გადასცეს მესამე მხარეს **შემსრულებლის** თანხმობის გარეშე.

2.2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში გადაიხადოს მომსახურების საფასური

3. მომსახურების საფასური

3.1 ხელშეკრულების საერთო საორენტაციო ღირებულება შეადგენს 36000 (ოცდათექვსმეტი ათასი)ლარს.

ერთი თვის გადასახდელი საორენტაციო თანხა შეადგენს არაუმეტეს 4000 (ოთხი ათასი) ლარს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).

3.2 ერჯერადად განთავსებული ფართის - 1კვ.სმ-ის ღირებულება დაითვლება არსებულ ნიხრში მითითებული ტარიფების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას დანართის სახით.

3.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის გადაცემული ინვოისის საფუძველზე.

3.4 დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის (სამმართველოს უფლებით) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის გაყოფილების უფროსის მოადგილე – ელზა ჯაფოშვილი.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4.2 მხარეები მოვალენი არიან ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში 5 (ხუთი) დღის ვადაში აცნობონ მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზი და მათი შესრულების მოსალოდნელი თარიღი.

4.3 კანონმდებლობით დადგენილი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისა და მოქმედების შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან ამ გარემოებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან. ამასთან, ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა არ იწვევს ხელშეკრულების მოშლას.

5. სხვა პირობები

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.

5.2 ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაერთგზის შეუსრულებლობა, ან არაჯეროვანი შესრულება შეიძლება გახდეს **დამკვეთის** მიერ ხელშეკრულების უპირობო შეწყვეტის საფუძველი.

5.3 მხარეები მიმართავენ მთელ ძალისხმევას, რათა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი ან/და წინააღმდეგობა გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს.

5.4 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.5 ყველა შესაძლო დანართი, ორივე მხარის მიერ შეთანხმებული და ხელმოწერილი, ძალაშია მხოლოდ ამ ხელშეკრულებასთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5.6 ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ან მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

5.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად. და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რომელთაგან ერთი გადაეცემა **შემსრულებელს**, ერთი – **დამკვეთს**.

"დამკვეთი"

შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ
ს/კოდი: 211350928

საბანკო რეკვიზიტები:

ს/ს"ლიბერთი ბანკი"
ა/ა№ GE85LB0121158008584000
ბ/კ№ LBRTGE22

თავჯდომარე

გურამ ტომ[illegible]

"შემსრულებელი"

შპს "ალია ჰოლდინგი"
მისამართი: თბილისი, აკადემქალაქი I კვ. მე-4
კორპ. I სართ. ალექსიძის ქ. №1
ს/კ 211359457
საბანკო რეკვიზიტები:
სს "თიბისი ბანკის" ც/ფ
ა/ნ GE49TB0600000360800003
221-21-80 (103) ბუღალტერია
სარეკლამო სამსახურის უფროსი

[illegible] ზარიძე



გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოებში.

პირველი გვერდი

გაზეთის ქუდის გვერდით 1 კვ.სმ - 10 ლარი
გაზეთის შუა ნაწილი 1 კვ.სმ - 15 ლარი
გაზეთის ქვედა ნაწილი 1 კვ.სმ - 10 ლარი

შუა გვერდები

მე-2 გვ. - 1კვ.სმ - 1,20 ლარი - სრული გვ. 1 200 ლარი
მე-3 გვ. 1 კვ.სმ - 1,50 ლარი - სრული გვ. 1 500 ლარი
დანარჩენი გვერდები - 1კვ.სმ - 0,80 ლარი - სრული გვ. 800 ლარი
შიდა ფერადი გვ. - 1კვ.სმ - 1,20 ლარი - სრული გვ. 1 200 ლარი

ბოლო გვერდი

1 კვ.სმ - 1.50 ლარი - სრული გვ. 1 500 ლარი

ჩანართი A3 ფორმატის ერთ ნომერში გასვლის ღირებულება 1 500 ლარი
ჩანართი A4 ფორმატის ერთ ნომერში გასვლის ღირებულება 1 000 ლარი

მის: თბილისი, აკადემიქალაქი I კვ. (ალექსიძის ქუჩა)
მე-4 კორპუსი, I სართული

☎ 2-21-20-99
577 44 44 42
577 73 20 00

E-mail: reklama@alia.ge
www.alia.ge

კვირის ქრონიკა

გამოდის ორშაბათს, ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოებში.

პირველი გვერდი

1 კვ.სმ - 20 ლარი

შუა გვერდები

მე-2 გვ. - 1კვ.სმ - 1,20 ლარი - სრული გვ. 1 200 ლარი
მე-3 გვ. 1-კვ.სმ - 1,50 ლარი - სრული გვ. 1 500 ლარი
დანარჩენი გვერდები - 1კვ.სმ - 0,80 ლარი - სრული გვ. 800 ლარი
შიდა ფერადი გვ. - 1კვ.სმ - 1,20 ლარი - სრული გვ. 1 200 ლარი

ბოლო ფერადი გვერდი

1 კვ.სმ - 1.50 ლარი - სრული გვერდი 1 500 ლარი

ჩანართი A3 ფორმატის ერთ ნომერში გასვლის ღირებულება 1 500 ლარი
ჩანართი A4 ფორმატის ერთ ნომერში გასვლის ღირებულება 1 000 ლარი

მის: თბილისი, აკადემიქალაქი I კვ. (ალექსიძის ქუჩა)
მე-4 კორპუსი, I სართული

☎ 2-212-099
577 44 44 42
577 73 20 00

E-mail: reklama@alia.ge
www.Qronika.ge